თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს
2018 წლის 8 იანვრის სხდომის ოქმი #1

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის დეკანი, პროფ. თემურ ბერიძე, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი–27, სტუდენტი – 2, სულ–29 წევრი.

დღის წესრიგი

1. საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2015 წლის 16 სექტემბრის ოქმი №10 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტთა საუნივერსიტეტი დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევის საფაკულტეტო წესში“ ცვლილებების შეტანის შესახებ

/ფაკულტეტის მენეჯერი საფინანსო-ეკონომიკურ საკითხებში ა. მიქაბერიძე/

3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის არჩევნების გამოცხადების შესახებ

/ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე, დეკანი, პროფ. თ. ბერიძე/

4. მიმდინარე საკითხები

სხდომის თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფ. თ. ბერიძემ აღნიშნა, რომ დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით იყო გარკვეული დიკუსიები. მისი პოზიცია არის ის, რომ დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე საბჭოს წევრების წინაშე ის ითხოვს მხარი დაუჭირონ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის არჩევნების გამოცხადების შესახებ საკითხის დღის წესრიგიდან ამოღებას. მან აღნიშნა, რომ საჭიროა გარკვეული კონსულტაციები, რათა საბოლოოდ ამოიწუროს ეჭვები ამ საკითხთან დაკავშირებით. არსებობს სხვადასხვა მოსაზრებები, რის გამოც ის აყენებს წინადადებას, დაინიშნოს დამატებითი კონსულტაციები, რათა არჩევნების დროს არ იყოს დაძაბულობა. მან სთხოვა ფაკულტეტის საბჭოს, რომ არჩევნების დანიშვნის შესახებ საკითხი გადაიდოს და ამ ცვლილების გათვალისწინებით კენჭი ეყაროს დღის წესრიგს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოითქვა სხვადასხვა თვალსაზრისი.

აზრი გამოთქვეს:

პროფ. ე. მექვაბიშვილი - მან აღნიშნა, რომ ის მხარს უჭერს დეკანის მოსაზრებას. საჭიროა მაქსიმალურად მოხდეს იმ პროცედურის დაცვა, რაც არის გაწერილი უნივერსიტეტის წესდებით, განათლების შესახებ კანონით, დეკანის არჩევნების შესახებ არსებული წესით. საჭიროა სამართლიანი და კონკურენტული, თანაბარი პირობების მქონე გარემოს შექმნა. მან ასევე აღნიშნა, რომ ის მხარს უჭერს დეკანს, მაგრამ პროცედურებთან დაკავშირებით არ უნდა იყოს კითხვს ნიშნები. პროფ. ე. მექვაბიშვილმა აღნიშნა, რომ მას სავსებით დასაბუთებულად მიაჩნია დეკანის შემოტანილი წინადადება და როგორც კოლექტივის ერთ ერთი წევრი, მხარს უჭერს ამ წინადადებას.

აკად. ა. სილაგაძე - მან აღნიშნა, რომ დეკანის წინადადება არის ლოგიკური გადაწყვეტილება და ის მხარს უჭერს მას. მან ასევე აღნიშნა, რომ აქვს განსხვავებული მოსაზრება, ეს საკითხი არ არის ნაჩქარევად გადასაწყვეტი და მთავარია ფაკულტეტისთვის მისაღები გადაწყვეტილება იქნას მიღებული. აკად. ა. სილაგაძემ აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნებოდა ამ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობა გადაწყვეტილების მიღებამდე და დოკუმენტის გამოქვეყნებამდე განსხვავებული აზრის პირობებში წარმართულიყო.

ასოც. პროფ. ლ. საბაურმა აღნიშნა, რომ არ ესმის ამ საკითხთან დაკავშირებით არის თუ არა რამე გადაცდომა და თუ არის, ეს უნდა იყოს ცნობილი. ამიტომ დეკანის არჩევნების გამოცხადების შესახებ საკითხის დღის წესრიგიდან ამოღების შესახებ გადაწყვეტილება მისთვის გაუგებარია.

სტუდ. ტ. გაგელიძე - მან დეკანს დაუსვა შეკითხვა: ,,თქვენ აღნიშნეთ, რომ დეკანის არჩევნებთან დაკავშირებით გაგრძელდება კომუნიკაცია და საინტერესოა რა სახის კომუნიკაციაზეა საუბარი, რა ვადებში, როდის შეიძლება რომ შევხვდეთ და ვისაუბროთ?“

სხდომის თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფ. თ. ბერიძემ აღნიშნა, რომ ჩატარდება მუშა-შეხვედრები. ყველა საბჭოს წევრებს დაეგზავნა ერთწლიანი ანგარიში რა გაკეთდა ფაკულტეტზე და რა არა. ასევე დაიგზავნება ოთხი წლის მანძილზე ფაკულტეტზე განხორციელებული სამუშაოების ანგარიში და ფაკულტეტის საბჭოს ექნება მისი გამოსვლის მოსმენის საშუალება. პრეზენტაციის ბოლო ბლოკი იქნება ის, თუ რა არის საჭირო, რომ სამომავლოდ გაკეთდეს და რომ ეს საკითხები დამუშავების პროცესშია.

სხდომის თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფ. თ. ბერიძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 28**
წინააღმდეგი – 1

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2018 წლის 8 იანვრის #1 სხდომის დღის წესრიგი აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით.

მოისმინეს: საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქალბატონმა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დაგეგმვა ურთიერთთანამშრომლობითი პროცესია და მასში მონაწილეობს ყველა მხარე-აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, ასოციაციები და სხვ. ყველა მხარის ჩართვა და თანამშრომლობა უზრუნველყოფს თანამედროვე საგანმანათლებლო პროგრამების შექმნასა და მათ განვიტარებას. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებს ავტორიზაციის სტანდარტების მიხედვით აქვს პროგრამების შემუშავების, დაგეგმვის და განვითარების, ასევე გაუქმების პროცედურები (დადგენილება #153/2017, 8 დეკემბერი, 2017). ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ამ დადგენილების მე-15 მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს უცხოელი სპეციალისტის მონაწილეობის აუცილებლობას.

ე. ხარაიშვილმა ასევე აღნიშნა, რომ კომიტეტების სავარაუდო შემადგენლობები დაეგზავნათ საბჭოს წევრებს ელექტრონულად. მან ასევე აღნიშნა, რომ კომიტეტების შემადგენლობაში დაშვებულია ტექნიკური ხარვეზები, კერძოდ: ეკონომიკის პროგრამის კომიტეტში გამორჩენილია პროფ. მ. ტუხაშვილის გვარი, ხოლო ტურიზმის პროგრამაში - ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილის გვარი. ასევე, #153 დადგენილების მე-15 მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს უცხოელი სპეციალისტის მონაწილეობის აუცილებლობას.

აქედან გამომდინარე, ეკონომიკის კომიტეტის შემადგენლობაში უნდა დაემატოს - მუჰამედ ასალი, კოლუმბიის (აშშ) უნივერსიტეტი, პროფესორი, ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა. ტურიზმის კომიტეტის შემადგენლობაში: 1. ინგა ქარაია,

მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს საქართველოს ეროვნული კომიტეტის პრეზიდენტი, სამხატვრო აკადემიის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; 2. ტერი ბუტრე, საქართველოში საფრანგეთის საელჩოს ატაშე სამეცნიერო და საუნივერსიტეტო თანამშრომლობის დარგში; 3. ჯიმ ვოლკერი - ლიონ 2-ის (საფრანგეთის) უნივერსიტეტის პროფესორი; 4. მაია ბენიძე - ფრანგულენოვანი დოქტორანტი, თსუ|ბოლონიის უნივერსიტეტი; 5. ხატია ცირგაია - ქართულ-ევროპული აკადემია, ფრანგული ენის მასწავლებელი.

აზრი გამოთქვეს: პროფ. თ. შენგელიამ, ასოც. პროფ. შ. შაბურიშვილმა, ასოც. პროფ. ნ. კაციტაძემ.

ასოც. პროფ. შ. შაბურიშვილმა და ასოც. პროფ. ნ. კაციტაძემ დაასახელეს კომიტეტის შემადგენლობაში ახალი წევრების კანდიდატურები, კერძოდ: შ. შაბურიშვილმა დაასახელა ასოც. პროფ. დ. სიხარულიძის ან ასისტენტ-პროფ. ლ. ქადაგიშვილის კანდიდატურები, ხოლო ასოც. პროფ. ნ. კაციტაძემ დაასახელა ე. ბალიაშვილის კანდიდატურა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოითქვა სხვადასხვა თვალსაზრისები.

კენჭისყრაზე დადგა საკითხი: კომიტეტების შემადგენლობაში არ მოხდეს ახალი წევრების დამატება და მოხდეს მხოლოდ ტექნიკური ხარვეზების ჩასწორება.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 29**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტების შემადგენლობები განისაზღვროს შემდეგნაირად:

1. ეკონომიკის პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის შემადგენლობა განსაზღვრულია 33 წევრით;
2. ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის შემადგენლობა - 29 წევრით;

3. ტურიზმის პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის შემადგენლობა - 33 წევრით (დანართი 1).

მოისმინეს: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2015 წლის 16 სექტემბრის ოქმი №10 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტთა საუნივერსიტეტი დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევის საფაკულტეტო წესში“ ცვლილებების შეტანის შესახებ

/ფაკულტეტის მენეჯერი საფინანსო-ეკონომიკურ საკითხებში ა. მიქაბერიძე/

ბატონმა ა. მიქაბერიძემ აღნიშნა, რომ გამომდინარე სამუშაო პროცესში წარმოქმნილი პრობლემებიდან, საჭირო გახდა დოქტორანტთა საუნივერსიტეტი დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევის საფაკულტეტო წესში შემდეგი ცვლილებების განხორციელება:

1. შევიდეს ცვლილება „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტთა საუნივერსიტეტი დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევის საფაკულტეტო წესის“ პირველი მუხლის მე-3 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„3.საუნივერსიტეტო დაფინანსების მქონე კანდიდატთა შერჩევას ახორციელებს კომისია. კომისიის შემადგენლობა შედის ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ფაკულტეტის დეკანის მოადგილე სამეცნიერო სფეროში, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელები და ფაკულტეტის მენეჯერი საფინანსო-ეკონომიკურ საკითხებში.“

2. ამოღებულ იქნეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტთა საუნივერსიტეტი დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევის საფაკულტეტო წესის“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი.

3. შევიდეს ცვლილება „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტთა საუნივერსიტეტი დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევის საფაკულტეტო წესის“ მე-3 მუხლის პირველ პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. შესარჩევი კომისია დოქტორანტურის სტუდენტს აფასებს წინამდებარე წესის დანართი №2 გათვალისწინებული წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ხმები თანაბრად გადანაწილდა კანდიდატებს შორის, რის გამოც ვერ ვლინდება გამარჯვებული საკონკურსო კომისია იმ კანდიდატებს შორის რომელთაც თანაბარი შეფასება დააგროვეს დამატებით შეაფასებს გასაუბრების საფუძველზე.“

4. შევიდეს ცვლილება „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტთა საუნივერსიტეტი დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევის საფაკულტეტო წესის“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„2. გამარჯვებულად გამოცხადდება დოქტორანტი/დოქტორანტები, რომელიც დააგროვებს ყველაზე მაღალ შეფასებას, წინამდებარე წესის მე-3 მუხლი პირველი პუნქტის შესაბამისად, შესაბამისი სემესტრისთვის განსაზღვრული ადგილების რაოდენობის მიხედვით. იმ შემთხვევაში თუ რომელიმე სემესტრისთვის განსაზღვრული ადგილი დარჩა ვაკანტური, დაფინანსდება სხვა სემესტრის ის სტუდენტი, რომელმაც ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 29
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: შევიდეს აღნიშნული ცვლილებები სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2015 წლის 16 სექტემბრის ოქმი №10 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტთა საუნივერსიტეტი დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევის საფაკულტეტო წესში“ (იხ. დანართი).

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს თავმჯდომარე, პროფ. თ. ბერიძე

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს მდივანი, ასოც. პროფ. მ. ნაცვალაძე